ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; მონაწილეობის მიღება კულტურული ღონისძიებებში ფესტივალებში, კონკურსებში.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 03		120,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების თელავის #2 სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	<ul style="list-style-type: none"> ზოგადი მუსიკალური განათლების მიცემა - ხელოვნების კონკრეტული სახეობების (ფორტეპიანო, ვიოლინო, გიტარა, ხალხური საკრავები, სიმღერა, ფოლკლორი) დაუფლებაზე ორიენტირებული მომზადება . ადგილობრივ და რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობით და სხვა აქტივობებით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა. წარმატებული მოსწავლეების წახალისება და ხელშეწყობა ზრუნვა კლასიკური მუსიკის და ფოლკლორის პოპულარიზაციასა და სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. <p>სკოლაში სხვადასხვა განყოფილებებზე სწავლობს 140 მოსწავლე</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 04		95,30
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სკოლაში ამჟამად სწავლობს 102 მოსწავლე. ისწავლება შემდეგ საგნებს: ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ძეგლვა, ხელოვნების ისტორია, ანიმაცია. ხორციელდება სხვადასხვა სახის დასახატი საგნების მოძიება-შეგროვება. ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა. მოსწავლეთა სწავლების ხარისხი მაღალია. მოსწავლეები სისტემატურად იღებენ მონაწილეობას როგორც ადგილობრივ ასევე რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებზე და ფესტივალებში დიდი წარმატებით. სკოლაში ხორციელდება აგრეთვე ანიმაციის საფუძვლების შესწავლა, მარტივი კლიპების და ფილმების შექმნა. ხდება მოსწავლეებისა და მათი ნამუშევრების გაგზავნა სხვადასხვა გამოფენებზე, კონკურსებზე და ფესტივალებზე (ბათუმის ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“, თბილისის „ოქროს პეპელა“ და სხვები). ჩატარდება მოწვეული გამოჩენილი მხატვრების მასტრეკლასები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, სახვითი ხელოვნების საფუძვლების შესწავლა. ანიმაციის სწავლების განვითარება - ხელშეწყობა. მოსწავლეთა და მათი ნამუშევრების გაგზავნა სხვადასხვა გამოფენებზე, კონკურსებზე და ფესტივალებზე.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება”	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 05		292,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის “საბიბლიოთეკო გაერთიანება”		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>საბიბლიოთეკო გაერთიანების შეუფერხებელი ფუნქციონირება უზრუნველყოფს:</p> <ul style="list-style-type: none"> საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მუშაობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა; საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მარჯვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა; საბიბლიოთეკო პროცესებში ელექტრონული საცნობარო აპარატის და მონაცემთა ბაზის (წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ელექტრონული კატალოგები, ელექტრონული წიგნები, ჟურნალ-გაზეთების სტატიების კართოთეკების შექმნა და სრულყოფა, ელექტრონული პროგრამების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა, კომპიუტერული ქსელის და ქსელური აპარატურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, ტექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; 		

	<ul style="list-style-type: none"> საბიბლიოთეკო საქმიანობის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად. ყოველწლიურად ხორციელდება წიგნადი ფონდის განახლება. ბიბლიოთეკებში დარეგისტრირებულია 19580 მკითხველი, ყოველწლიურად გაიცემა დაახლოებით 315500 საბიბლიოთეკო ერთეული.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისათვის ასაკობრივი, პროფესიული ინტერესის, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის პირების ლიტერატურული ინტერესების დაკმაყოფილება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 06		1179,86
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ზაირა არსენიშვილის სახელობის თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში თელავის კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით ხალხური შემოქმედების ფოლკლორულ - ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის ძიება და პოპულარიზაცია, ხალხური ხელოვნების მოვლა, დაცვა და განვითარება. შემოქმედებითი კოლექტივების არსებული სასცენო კოსტუმების განახლება. თელავის მუნიციპალიტეტში მოქმედი ხალხური შემოქმედების, მხატვრული თვითშემოქმედების, ფოლკლორული ჯგუფების შემოქმედებითი გაერთიანების, ხალხური შემოქმედების პოპულარიზაცია. კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებების მოწყობა, სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, მათ შორის ქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ქალაქის მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება. კულტურის ცენტრში გაერთიანებული საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტუმირება, გასტროლი და სხვა მოტივაცია); სახელოვნებო დარგის სტუდენტებთან და ახალგაზრდებთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. მათი შემოქმედების განვითარებისათვის კულტურის ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეთავაზება და მაქსიმალური მხარდაჭერა. • ღვაწლძოლილ მოქალაქეთა განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, სლოგანსადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.) ქართული კულტურის პოპულარიზაცია და თელავის როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი ქალაქის გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სსიპ - ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 01 02 07		13.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით განხორციელდება სსიპ ვაჟა ფშაველას სახელობის თელავის პროფესიული დრამატული თეატრის თანადაფინანსება, რაც გულისხმობს ფესტივალში მონაწილეობის თანადაფინანსებას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 08		70,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება ნადიკვარი		
ქვეპროგრამის აღწერა	კულტურის და დასვენების პარკების გაერთიანება "ნადიკვარი" ადგილობრივ მოსახლეობას და უცხო ქვეყნიდან ჩამოსულ დამსვენებელს სთავაზობს კომფორტულ გარემოს. ბავშვების გართობას შესაფერისი ღონის ატრაქციონებით, ხორციელდება აგრეთვე სკვერის სეზონური დეკორატიული ყვავილების გაშენება განახლება. მარადმწვანე ბუჩქების და ხემცენარეების მოვლა პატრონობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება „ნადიკვარი“ ფუნქციონირებს შეუფერხებლად, დამსვენებლებისათვის შექმნილია კომფორტული გარემო		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 09		67,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისპირის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სამუსიკო სკოლა საქმიანობს შესაბამისი ადმინისტრაციით და 11 პედაგოგის მეშვეობით 83 მოსწავლისათვის. ბოლო წლების განმავლობაში ყოველწლიურად იზრდება მოსწავლეთა კონტიგენტი, სკოლაში ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორგესტრო (ფლეიტა) და ხალხური		

	საკრავების (ფანდური) განყოფილებები. სკოლა ფუნქციონირებს მოზარდი ახალგაზრდობის კულტურული განვითარებისათვის, სადაც ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 10		138,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ წინანდლის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	წინანდლის სამუსიკო სკოლა ემსახურება სოფ. ვანთის „ბუშეტის“ ქვემო ხოდაშნის და წინანდლის მოსწავლეებს. სწავლა მიმდინარეობს სხვადასხვა სპეციალობებზე: საფორტეპიანო, ვიოლინო, საგუნდო, ვოკალი და სოლო სიმღერა, ხალხური საკრავები (ფანდური), გალობა. სკოლაში არსებობს კლასიკური გუნდი სადაც -23 მოსწავლეა, ხალხურ საკრავთა გუნდი - 14 მოსწავლე, ფოლკლორული გუნდი -16 მოსწავლე და მგალობელთა ტრიო.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 01 11		61,40
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ აკურის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა	სკოლაში ხორციელდება შემდეგი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამები: საფორტეპიანო, საორგანო, საეკსტრადო, ხალხური ტრადიციური მუსიკა, ხალხური საკრავები, ხელოვნების (ხატვა, ფერწერა, ხელოვნების ისტორია) განყოფილებები. სკოლის სრული კონტიგენტია 120 მოსწავლე. სკოლის მიზანია ხელი შეუწყოს მომავალი თაობის მუსიკალურ განვითარებას მათ შორის ახალ ინიციატივებს რომლის მეშვეობითაც გაიზრდება მოსწავლეების ინტერესი და ჩართულობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო სკოლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, მოსწავლეთათვის დაწყებითი და საბაზო-საორიენტაციო საფეხურის განათლების მიცემის უზრუნველყოფა		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 02		468,66
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. კურდღელაურის, სოფ. ვარდისუბნის და სოფ. კონდოლის კულტურის სახლების საზურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქ. თელავში საბავშვო ბიბლიოთეკის შენობის სრული რეაბილიტაცია, მონუმენტ „შენ ხარ ვენახი“-ს აღდგენა/რეაბილიტაციის და მონტაჟი და სხვა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 02 03		53,60
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა მოიცავს მთელი წლის განმავლობაში, სხვადასხვა კულტურული ინიციატივების ხელშეწყობას (გამოფენები, კონცერტები, ფესტივალები და სხვა). განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კულტურის სფეროში გამოჩენილი ადამიანების შემოქმედების პოპულარიზაცია - ხელშეწყობა და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: კულტურულ შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, შედეგი:საზოგადოებაში მოხდება კულტურული თვითშეგნების ამაღლება, გაიზრდება კულტურით დაინტერესებული შემოქმედებითი ჯგუფების რიცხვი. გაიზრდება მოსახლეობის ჩართულობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 03		92,50
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: 1. ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა - ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდების რაოდენობის ზრდას, ახალგაზრდობში დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლებას. 2. ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? - ღონისძიება ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას. 3. საახალწლო ახალგაზრდული შეხვედრა. 4. ექსკურსია - სხვადასხვა შემცნებითი ექსკურსიების, ლაშქრობების, ბანაკების მოწყობა ახალგაზრდობისათვის. 5. სამაგიდო თამაშების ღონისძიება,		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შედეგი: ახალგაზრდები მეტ ინიციატივას იჩენენ სხვადასხვა აქტივობებში, მაღლდება მათი ჩართულობა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და შესაბამისად, მუნიციპალურ პროექტებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობა გაზრდილია;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 03 01		92,50
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: 1. ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობა - ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვის პროცესში ახალგაზრდების რაოდენობის ზრდას, ახალგაზრდობში დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის, ორგანიზების უნარების პრაქტიკის დაუფლებას. 2. ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის? - ღონისძიება ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მასშტაბით, მოსწავლეებს, სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შორის რა? სად? როდის? ინტელექტუალური ტურნირების ჩატარებას. 3. საახალწლო ახალგაზრდული შეხვედრა. 4. ექსკურსია - სხვადასხვა შემცნებითი ექსკურსიების, ლაშქრობების, ბანაკების მოწყობა ახალგაზრდობისათვის. 5. სამაგიდო თამაშების ღონისძიება და სხვა		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ხელი შეუწყოს თელავის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების განვითარებას და კეთილდღეობას, რათა მათ მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და აქტიურად იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. შედეგი: ახალგაზრდები მეტ ინიციატივას იჩენენ სხვადასხვა აქტივობებში, მაღლდება მათი ჩართულობა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში		

პროგრამის დასახელება	კოდი	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 04		40,0
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა - ჟურნალ „ოლე“-ს და „საქართველოს მოამბე“-ს. აღნიშნული პროგრამის განხორციელებით ხდება თელავის მუნიციპალიტეტში მოღვაწე მწერლების და პუბლიცისტების ნაწარმოებების გამოქვეყნება, დამყები მწერლების გაცნობა საზოგადოებისათვის. პროგრამის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამოცემლობის ხელშეწყობა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	თელავის მუნიციპალიტეტში არსებული მხატვრულ-პუბლიცისტური გამოცემლობის ხელშეწყობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	ძველთა დაცვის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 05		207,50
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის განხორციელება ორიენტირებულია საინფორმაციო ბაზის გამდიდრებაზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების გამოვლენაზე, შესწავლაზე, გადარჩენასა და შენარჩუნებაზე. დაგეგმილია სტორის და ლოპოტის ხეობის სოფლების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კვლევა, სოფ. კისისხევის კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების		

პროგრამის აღწერა	კვლევითი სამუშაოები, დაბანების წყაროს რეაბილიტაცია და კეთილმოწყობის სამუშაოები. თელავის მუნიციპალიტეტის ისტორიული ძეგლების კატალოგის დამუშავება, სხვადასხვა სახის ბეჭდვითი მომსახურება, საადრეცხოვ ბარათების შედგენა. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება, მნიშვნელოვანი ტურისტული მდებარეობის ძეგლის ვიზუალურად უკეთ აღქმა და მიწიძველი გარემოს შექმნა და სხვა.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლები. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ზეზისშივერი დაინტერესებული პირისთვის, გაზრდილია კულტურული ძეგლების ცნობადობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	05 06		614,41
პროგრამის განმახორციელებელი		თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. თელავში კავკასიონის ქუჩის მიმდებარედ სკვერის და გამწვანებული ტერიტორიის კეთილმოწყობა, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე (ზუზუმბოს ქუჩის მიმდებარედ) არსებული საბავშვო მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ენერგოეფექტური სკამების შექმნა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსება/მონტაჟი. წინა წლებში შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული საგარანტიო თანხის ანაზღაურება, კარკი „ნადიკარის“ ფანჩატურების და ტერასების სარეაბილიტაციო-მოწყობის სამუშაოები და სხვა.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		კომფორტული გარემოს შექმნა, მოწესრიგებული დასასვენებელი სივრცეები.	

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. განხორციელდება მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ფართით უზრუნველყოფა, პროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა და ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
06 00	ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3741.92	17.72	3724.20
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	482.03	17.72	464.31
06 01 01	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	140.00	0.00	140.00
06 01 02	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები	342.03	17.72	324.31
06 02	სოციალური დაცვა	3259.89	0.00	3259.89
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	33.20	0.00	33.20
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	309.70	0.00	309.70
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა	7.80	0.00	7.80
06 02 02 02	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	301.90	0.00	301.90
06 02 03	უმწიფოთათვის უფასო სასადილო დაცვინანსება	823.00	0.00	823.00
06 02 04	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	10.00	0.00	10.00
06 02 05	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	230.58	0.00	230.58
06 02 06	ვეტერანთა საზოგადოება	4.00	0.00	4.00
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის	82.00	0.00	82.00

სს ს/ს/	კოფისა და სხვა სახის დახმარების ღირებულება	02.00	0.00	02.00
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღირებულება	82.00	0.00	82.00
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღირებულება	65.30	0.00	65.30
06 02 10	სამედიცინო და მედიკამენტებით დახმარების ღირებულება	1531.46	0.00	1531.46
06 02 11	შენუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	71.25	0.00	71.25
06 02 14	1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარება	2.40	0.00	2.40
06 02 15	საქართველოს წითელი ჯვარის თანადაფინანსება	15.00	0.00	15.00

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 01		482,03
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძველთა დაცვის სამსახური, ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი		
პროგრამის აღწერა	ჯანმრთელობისათვის ხელშეწყობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლისა და გაუმჯობესებისაკენ. პროგრამა უზრუნველყოფს მოსახლეობის ყველა ფენისათვის იმ შედეგების ჩანერგვას, რომ აუცილებელია საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის გზით. ამ პროგრამის მთავარი მიზანი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის მიღწევა და მოსახლეობაში ჯანმრთელი კონტიგენტის ზედრითი წონის მატებაა. აგრეთვე მისი მიზანია ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესაზღვევისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით, აგრეთვე მათი ალკოჰოლის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. აღნიშნულის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“, რომლის მიზანია თვითმმართველობის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის ხელშეწყობა, მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით სამედიცინო დაწესებულებების მოწესრიგება, რეაბილიტაცია.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 01 01		140,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - თელავის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიის, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკის წარმოებისთვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში. ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორებზე მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს. კოორდინაცია ეპიდემიოლოგიური სტრუქტურებთან, გარემოს, შრომის, სასმელი წყლის, საკვების უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობა კომპეტენციის ფარგლებში. ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობაში საინფორმაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა, სოციალური მობილიზაციის ხელშეწყობა და საჭიროების შემთხვევაში მისი უზრუნველყოფა. მოსახლეობის ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის დაკავშირებული საკითხებში. პროფესიული ადამიანური რესურსების განვითარება, მოტივირება. გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიის და კონტროლის ღირებულებები. პირველადი ეპიდემიოლოგიის განხორციელება, ეპიდემიოლოგიის ღირებულებების დაგეგმვა და გატარება. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა. იმუნოპროფილაქტიკაზე ანგარიშგება და დამატებითი წესის მიხედვით. იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ნალიზი, შეფასება, დაზუსტება. ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალის ცივი ჯაჭვის საწიროების განსაზღვრა და გეგმილი წესის მიხედვით. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა: ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალის მარაგის შექმნა, მოთხოვნა, კოორდინაცია რეგიონულ დონესთან. ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პუბლიკისთვის და დამატებითი წესის მიხედვით. "ცივი ჯაჭვის" ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანის ფაქტორების შესაზღვევა/დადგენა. წყალსაცემების პასპორტიზაცია, გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდემიოლოგია, მალარიის სკრინინგული კვლევა, სხვა პარაზიტული და პელმინოზური დაავადებების		

	სკრინინგი, საგანმანათლებლო, სააღმშრდელო, საგანმანათლებლო-სააღმშრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრვენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. ტუბერკულოზის, აივ ინფექციის/შიდსისა და C ჰეპატიტის დაავადებათა დაძლევის ყველაზე ეფექტურ გზად მიჩნეულია ადრეული გამოვლენა და მკურნალობა. C ჰეპატიტის, აივ/შიდსის, ტუბერკულოზის დიაგნოსტიკისა და მართვის სერვისების ინტეგრაცია პირველადი ჯანდაცვის ქსელში ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით საყოველთაოდ აღიარებული სტრატეგიაა, რომელიც პაციენტს საშუალებას აძლევს " ერთი-ფანჯრის" პრინციპით მიიღოს ყველა საჭირო მომსახურება. ამ გზით შესაძლებელია სამივე მიმართულებით შემთხვევების მეტად აქტიური გამოვლენა და ასევე მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესება.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 01 02		342,03
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით სამედიცინო დაწესებულებების მოწესრიგება, რეაბილიტაცია. განხორციელდება სოფ. ლეჩურში ახალი ამბულატორიის მოწყობა, სტიქიის შედეგად დაზიანებული, სოფ. კონდოლის ამბულატორიის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისათვის კიბოს ადრეულ სტადიაში გამოსავლენად სკრინინგის ჩატარება. განხორციელდება სოფ. ართანაში, 2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ახალი ამბულატორიის მოწყობის სამუშაოების და საზედამხედველო მომსახურების ანაზღაურება და სხვა ღონისძიებები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დაცვა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02		3259,89
პროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას, კერძოდ: - ახალშობილთა ოჯახების (სოციალურად დაუცველი) (ერთჯერადი) და მრავალშვილიანი ოჯახების (ყოველთვიური) დახმარებას; - სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების დაფინანსება/თანადაფინანსებას; - შემოდიალიზზე მყოფი მოქალაქეების ტრანსპორტირების ხარჯებით უზრუნველყოფას; - სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფი მოქალაქეებისათვის ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის ხელშეწყობა; - სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას; - ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი, ქირით უზრუნველყოფა. - სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 01		33,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების, ყოველთვიური ფინანსური დახმარების გაცემას, ტრანსპორტირების ხარჯის უზრუნველსაყოფად. გასაცემი თანხის ოდენობა განისაზღვრება დასახლებების ზონირების შესაბამისად.		

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარების ხელშეწყობა. პროგრამით მოსარგებლე კატეგორია უზრუნველყოფილია სამედიცინო დაწესებულებებში ტრანსპორტირების ხარჯით
-------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმ შვილების სოციალური დაცვა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 02 01		7.8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შ.შ.მ პირთა (18 წლამდე) შვილების დახმარება. აღნიშნულ პროგრამით თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა თანხა 150 ლარის ოდენობით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა 18 წლამდე შვილების ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველ პირთა დახმარება	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 02 02		301,9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მყოფი მოქალაქეებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, გაიცემა ფინანსური დახმარება 100 ლარის ოდენობით. დაფინანსება მოხდება წლის განმავლობაში ერთჯერადად და სხვა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებლე კატეგორია უზრუნველყოფილია მატერიალური დახმარებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 03		823. 0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	თელავში მუნიციპალიტეტის მერიის უმწეოთა და უპოვართა სამსახური ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურებაც, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. გარდა აღნიშნულისა, უფასო კვებით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგი სტატუსის მქონე ადამიანებს: შშმ სტატუსის მქონე ბავშვები და მათ ოჯახის წევრები, მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) ოჯახები, მარტოხელა მშობლები შვილებთან ერთად. მომსახურებით ასევე ისარგებლებენ მოქალაქეები, რომლებიც მონაწილეობენ „სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“. ყოველთვიურად ხდება კვებით მოსარგებლე პირთა რაოდენობაში ცვლილებების შეტანა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული სოციალურად დაუცველი ბენეფიციართა ბაზის და ადმინისტრაციული ერთეულებიდან მერის წარმომადგენელთა შუამდგომლობის საფუძველზე.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები, პროგრამით განსაზღვრული, ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უფასო ერთჯერადი კვების მომსახურებით. ყოფილი პირობების გაუმჯობესება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა, გარდაცვლილ დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 04		10.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა	მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ (სამაჩაბლო-აფხაზეთი), დევნილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისთვის გაიცემა დახმარება 250 ლარის ოდენობით, ხოლო უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით- 500 ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გარდაცვლილთა ოჯახების თანადგომა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 05		230,58
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები რომელთა სარიტინგო ქულა არ აღემატება 65 000- 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს ორ თვეს, რომლის ფარგლებშიც თითოეულ ბავშვზე გაიცემა ყოველთვიური დაფინანსება 150 ლარის ოდენობით. ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებზე დახმარება - გაიცემა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახებზე წლის განმავლობაში ერთჯერადად. ყოველ სოციალურად დაუცველ ოჯახზე, რომლის სარიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, პირველ ახალშობილზე გაიცემა ფინანსური დახმარება 400 ლარის ოდენობით, მეორე ახალშობილზე -500 ლარის ოდენობით, ორი ტყუპის დაბადების შემთხვევაში-800 ლარის ოდენობით, ხოლო სამი ტყუპის დაბადების შემთხვევაში 1200 ლარის ოდენობით. მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ირიცხებიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია, თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა ფინანსური დახმარება 30 ლარის ოდენობით. ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიან ოჯახებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ან/და ფაქტობრივად ცხოვრობენ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დახმარება.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველთა ოჯახებში ახალშობილთა დაბადებისას ერთჯერად ფინანსურ დახმარების, მრავალშვილიანი ოჯახებზე, სადაც 18 წლამდე ოთხი და მეტი ბავშვია თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარების გაწევა, აგრეთვე, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახები რომელთა სარიტინგო ქულა არ აღემატება 65 000- 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა საზოგადოება	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 06		4.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა	ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის ხელშეწყობა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ვეტერანთა თანადგომა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 07		82,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	კომუნალურ (ელექტროენერჯის) გადასახადებზე დახმარების პროგრამით აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე კატეგორია: თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, დევნილები, შშ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები, უდემამო ბავშვები, მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მარჩენალდაკარგული ოჯახები, მრავალშვილიანი ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტი შვილი და მათი სარიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს. აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგზავრთა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის გამოყოფილია ტრანსპორტი, რომელთა საშუალებითაც მთელი წლის განმავლობაში, სოფლებში, სადაც არ ხდება ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა (განსაკუთრებით სასწავლო წლის პერიოდში) მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყოს შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილება.		
ქვეპროგრამის			

მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახების ელექტროენერჯის გადასახადზე შეღავათით სარგებლობის ხელშეწყობა, თხევადი გაზით დახმარება, მოსახლეობის ტრანსპორტით ხელშეწყობა.
-------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 08		82,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით მოსარგებელ კატეგორია: ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი. მოსარგებელ კატეგორია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახები, ძალადობის მსხვერპლი პირები, მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი ოჯახები, შშმ პირთა ოჯახები, პირები, რომლებიც გასული არიან სახელმწიფოს ზრუნვიდან ბოლო 1 წლის განმავლობაში. აღნიშნული კატეგორია დაფინანსდება თვეში 100 ლარის ფარგლებში.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამით მოსარგებელ კატეგორიის უზრუნველყოფილა გარკვეული დროით თავშესაფრით		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 09		65,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასაჩუქრე ამანათების ან/და ფულადი თანხების გაცემა, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ: მრავალშვილიანი ოჯახები სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს, უდემამო ბავშვები, 100 წელს გადაცილებული მოზუცები, მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, შშმ სტატუსის მქონე ბავშვები, ომის მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 18 წლამდე ასაკის შვილები, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მარტოხელა მშობლები ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები და ახალშობილთა ოჯახები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებელ კატეგორიისათვის საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე მატერიალური მხარდაჭერა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება (ათას ლარებში)
	06 02 10		1531.46
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონკოლოგიურ პაციენტთა (ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პირთა) სამედიცინო მომსახურების და მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების ან/და სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების დაფინანსებას. სარგებლობა შეუძლიათ ონკოლოგიური დაავადების მქონე იმ პირებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან ირიცხებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ფაქტიური საცხოვრებელი არის თელავის მუნიციპალიტეტი. ასეთ პაციენტთათვის პროგრამით გათვალისწინებული იქნება ლიმიტირებული თანხა 1500 ლარი, რომელიც წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება გამოყენებული იქნას სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების და მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების ან/და სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების დასაფინანსებლად. პროგრამა ითვალისწინებს ასევე ბენეფიციართა სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფას, დახმარების მიმღებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ის პირები, რომელთაც ფაქტიური საცხოვრებელი აქვთ თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგულნი, მკვეთრი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და იძულებით გადაადგილებული პირები და 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები. ქვეპროგრამით სარგებლობა შესაძლებელია წლის განმავლობაში ერთჯერადად, დაფინანსების ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 300 ლარით. პროგრამა ითვალისწინებს, სტაციონალური, ამბულატორიული და სარეაბილიტაციო მომსახურების		

	<p>დაფინანსებას, გარდა სტრატეგიული მომსახურებისა, თანადაფინანსებას მიმღებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ის პირები, რომელთაც ფაქტური საცხოვრებელი აქვთ თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობელი, მკვეთრად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, მარჩენალდაკარგული, იძულებით გადაადგილებული პირები, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანები. ქვეპროგრამით სარგებლობა შესაძლებელია წლის განმავლობაში ერთჯერადად, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება მოხდება პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხის 80%-ით, მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის მოქმედება აგრეთვე ვრცელდება იმ ბენეფიციარებზე, რომლებიც არ განეკუთვნებიან ქვეპროგრამით გათვალისწინებულ არც ერთ სამიზნე ჯგუფს, მაგრამ განიცდიან ეკონომიკურ გაჭირვებას, საჭიროებენ დახმარებას და პაციენტის გადასახდელი თანხა აღემატება 1500 ლარს. ასეთი კატეგორიის ბენეფიციარებზე სამედიცინო მომსახურების დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს თელავის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისია. დაფინანსება განხორციელდეს პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 80%-ის ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს 2000 ლარის ოდენობით; ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასევე სახელმწიფო მშრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდების სტრატეგიული მომსახურების დაფინანსებას. პროგრამის ბენეფიციარები არიან სახელმწიფო მშრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდები, კერძოდ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები.</p>
